10.30-11.30	პალიატიური მკურნალობის განმარტება და უმთავრესი ასპექტები	<ul style="list-style-type: none"> - განმარტება - პალიატიური მოვლის უმთავრესი ასპექტები - ბავშვთა პალიატიური მოვლის თავისებურებები - პალიატიური მკურნალობის მნიშვნელობა 	ლექცია;
11.30-11.45		შესვენება	
11.45-13.15	ტკივილის შეფასება ონკონკურაბელურ პაციენტებში	<ul style="list-style-type: none"> - ტკივილის შეფასება - ტკივილის ფენომენთან ასოცირებული ფსიქოსოციალური ასპექტები - ტკივილის მართვის პრინციპები - ანალგეზიური კიბე - მკურნალობის შედეგად აღმოცენებული ტკივილი 	ლექცია
13.15-14.15		შესვენება - საუზმე	
14.15-17.30	ტკივილის მართვა ონკონკურაბელურ პაციენტებში	<ul style="list-style-type: none"> - ანალგეზიის მეთოდის შერჩევა (ჯანმოს "ანალგეზიური კიბის" მიხედვით) - როგორ მოვიქცეთ ქრონიკული ტკივილის უეცარი გამწვავებისას - ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში ტკივილის კონტროლი 	ჯგუფური მუშაობა; დისკუსია საკვანძო საკითხების გარშემო
		მეორე სასწავლო დღე	
10.00-11.30	ტკივილის მართვა ონკონკურაბელურ პაციენტებში	<ul style="list-style-type: none"> - კლინიკური შემთხვევების განხილვა 	მუშაობა მცირე ჯგუფებში (დავალებები 1; 2;)
11.30-11.45		შესვენება	
11.45-13.15	სხვა სიმპტომების მართვა	<ul style="list-style-type: none"> - გასტროინტესტინური სიმპტომები - ქოშინი - კონფუზია 	მუშაობა მცირე ჯგუფებში (დავალებები 3; 4;)
13.15-14.15		შესვენება - საუზმე	
14.15-15.45	სხვა სიმპტომების მართვა	<ul style="list-style-type: none"> - დეპრესია - არასასიამოვნო სუნის - და სხვ. 	მუშაობა მცირე ჯგუფებში (დავალებები 5;6)
15.45-16.00		შესვენება	
16.00-17.30	ონკოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობები	<ul style="list-style-type: none"> - ინფექცია - სისხლდენა - ავთვისებიანი პროცესით გამოწვეული ჰიპერკალცემია - ზურგის ტვინის კომპრესია - პათოლოგიური მოტეხილობები 	მუშაობა მცირე ჯგუფებში

		<ul style="list-style-type: none"> - ზედა ღრუ ვენის ობსტრუქცია - პერიკარდიული ტამპონადა - ნაწლავის ობსტრუქცია - კრუნჩხვები 	
		მესამე სასწავლო დღე	
10.00-11.30	პალიატიური მკურნალობის ეთიკური ასპექტები	- მუხლები საქართველოს კანონიდან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ: კრიტიკული მდგომარეობა, სიკვდილი და ევთანაზია	ლექცია მუშაობა მცირე ჯგუფებში
11.30-11.45		შესვენება	
11.45-12.45	ონკოინკურაბელური ტერმინალური პაციენტების პალიატიური მოვლის პრაქტიკული განხორციელების გზები	<ul style="list-style-type: none"> - ტერმინალური პაციენტის სამედიცინო საჭიროებების შეფასება ექთნის მიერ - ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის ბინაზე საექთნო მოვლა - ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში ტკივილის შეფასება - ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში ფსიქიკური პრობლემების იდენტიფიცირება - ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში გავრცელებული გასტროინტესტინური და რესპირატორული სიმპტომების შეფასება და მართვა - ონკოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობების იდენტიფიცირება - ტერმინალური პაციენტების ოჯახებისთვის სპეციფიკური კლინიკების ჩამოყალიბება 	<p>მუშაობა მცირე ჯგუფებში;</p> <p>დისკუსია საკვანძო საკითხების გარშემო</p>
12.45-13.15		პოსტ-ტესტი	საბოლოო შეფასების ტესტი

ინტერაქტიური მუშაობის დროს გამოყენებული მასალის ნიმუშები

საკითხი დისკუსიისთვის:

როგორ მოვახერხოთ ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტების სამედიცინო საჭიროებების დროულად და სრულად შეფასება?

სთხოვეთ მსმენელებს ჩამოყალიბონ რას გულისხმობს ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტების სამედიცინო საჭიროებების შეფასება, ვინ უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში, როგორ მოხდება ფუნქციების გადანაწილება პირველადი ჯანდაცვის გუნდის წევრებსა და ონკოლოგიურ სამსახურებს შორის.

ვიზიტების რაოდენობა: ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის ჯანმრთელობის საჭიროებათა შეფასება რეგულარულად უნდა მოხდეს. შესაძლოა, ვიზიტების პერიოდულობა და შეფასების მოცულობა პაციენტის მდგომარეობისა და მისი და ოჯახის სურვილის მიხედვით იცვლებოდეს. თუმცა, თვის განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მიერ (ექიმი და/ან ექთანი) ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის ბინაზე ვიზიტების საერთო რაოდენობა 4-ზე ნაკლები (კვირაში, სულ მცირე, ერთი ვიზიტი) არ უნდა იყოს;

ტერმინალური ონკოლოგიური პაციენტის სამედიცინო საჭიროებების შეფასება გულისხმობს:

ა) პაციენტის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლას, კერძოდ:

- ტკივილის შეფასება;
- ანალგეზიური რეჟიმის ადეკვატურობის შეფასება;
- ოპიოიდური ანალგეზიური თერაპიის ფონზე მოსალოდნელი გვერდითი მოვლენების იდენტიფიცირება;
- ტერმინალურ პაციენტებში განსაკუთრებით გავრცელებული სიმპტომების (გულისრევა/ღებინება, ანორექსია, ყაზოზობა/დიარეა, რესპირატორული სიმპტომები და სხვა) იდენტიფიცირება და მათი სიმძიმის შეფასება;
- სხვა თანმხლები დაავადების არსებობა და მისი სიმძიმის ხარისხის შეფასება.

ბ) არის თუ არა პაციენტის მოვლისათვის აუცილებელი პირობები ბინაზე:

- მომვლელი (ფორმალური ან არაფორმალური);
- ტერმინალური პაციენტის მოსავლელად აუცილებელი ჰიგიენური/სამედიცინო ინვენტარი და ონკოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობების მართვისათვის საჭირო მედიკამენტები;
- ადაპტირებული გარემო, რაც პაციენტს დამოუკიდებელი აქტივობის (პირადი ჰიგიენის დაცვის მაინც) უნარის შენარჩუნებაში უწყობს ხელს (ხარისხები გადაადგილებისათვის, სპეციალურად მოწყობილი ტუალეტი და აბაზანა, ინვალიდის სავარძელი და ა.შ).

ონკოლოგის, ოჯახის/უბნის ექიმისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნის კოორდინირებული მოქმედების გეგმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთობლივად უნდა განისაზღვროს.

საკითხი დისკუსიისთვის:

როგორ მოვახერხოთ ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტების სოციალური საჭიროებების შეფასება?

სთხოვეთ მსმენელებს ჩამოყალიბონ რას გულისხმობს ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტების სოციალური საჭიროებების შეფასება, ვინ უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში, როგორ მოხდება ფუნქციების გადანაწილება პირველადი ჯანდაცვის გუნდის წევრებს შორის.

ტერმინალური ონკოლოგიური პაციენტის სოციალური საჭიროებების შეფასება გულისხმობს:

- პაციენტის სოციალური/ოჯახური გარემოს შესწავლას. დიდია იმის ალბათობა, რომ ოჯახი ტერმინალური პაციენტისათვის სოციალური კონტაქტების ერთადერთი სფერო იყოს. ოჯახური ატმოსფეროსა და ოჯახის წევრებსა და პაციენტს შორის ურთიერთობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს;
- სოციალური აქტივობის უნარის შესწავლას;
- სოციალურ ცხოვრებაში ტერმინალური დაავადებით გამოწვეული ცვლილებები: მათი სიმძიმე და მნიშვნელობა. რამდენად მტკივნეულია პაციენტისათვის სოციალური როლის დაკარგვა;
- დაავადების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: ფინანსური სიდუხჭირის განცდა. ფინანსური პრობლემის მიმართ ოჯახის/პაციენტის დამოკიდებულება.

სასურველია, მომვლელთა და ოჯახის წევრთა კონსულტირების ჩატარება როგორ დავეხმაროთ ტერმინალურ პაციენტს ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებაში.

საკითხი დისკუსიისთვის:

რას გულისხმობს ტერმინალური პაციენტის ადეკვატური საექთნო მოვლის უზრუნველყოფა?

ექთანი უნდა დარწმუნდეს, რომ ბინის პირობებში შექმნილია ექიმის დანიშნულების ზუსტად შესრულების ყველა შესაძლებლობა:

- ❖ პაციენტი აცნობიერებს მედიკამენტების მიღების ან სხვა სამკურნალო რეჟიმის დაცვის მნიშვნელობას
- ❖ პაციენტი უზრუნველყოფილია სიმპტომების მართვისათვის აუცილებელი ყველა მედიკამენტით;
- ❖ ბინაზე შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტების მიღების პარენტერალური რეჟიმის შესრულება.

- მისცეს რჩევა-დარიგება პაციენტს ყოველდღიური ცხოვრების შესახებ – ყოველდღიური საქმიანობის ხასიათი, კვებითი რეკომენდაციები, სქესობრივი ცხოვრება, მნახველები და ა.შ.;
- გაარკვიოს ნათესავების ინფორმირებულობის ხარისხი და შეეცადოს მათ შევითხვევებზე პასუხის გაცემას;

1. ექთანი აფასებს პაციენტის მდგომარეობას: ფიზიკური, ფსიქოსოციალური და სპირიტუალური ასპექტების გათვალისწინებით;

2. ექთანი ამოწმებს, რამდენად ასრულებს პაციენტი დანიშნულებას;
3. უბნის ექთანი აფასებს სიმპტომების კონტროლის ან პროგრესირების ხარისხს და სახავს მომდევნო მოქმედების გეგმას, უწევს ორგანიზებას ოჯახის ექიმის ვიზიტს;
4. უბნის ექთანი აფასებს პაციენტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და საკმარის დროს უთმობს მისთვის საინტერესო თემებზე საუბარს. არ არის აუცილებელი, ეს თემა პაციენტის ავადმყოფობას ეხებოდეს. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, რომ პალიატიური მოვლისას, ცხადია, სამედიცინო ცოდნა და ჩვევები, როგორც ყოველთვის, ღირებულია, მაგრამ პაციენტთან კომუნიკაციასა და პაციენტისა და მისი ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უდიდესი როლი ენიჭება.
5. ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს მორფინისა და სხვა ძლიერი ოპიოიდური ანალგეზიური პრეპარატების გვერდითი მოვლენების გამოცნობა და მათი მართვის საკითხებზე პაციენტის კონსულტირება
6. ექთანი ეხმარება პაციენტს/მომვლელს ახალ გარემოსთან ადაპტაციაში, რაც მოიცავს:

❖ **ტერმინალური პაციენტის ბინაზე მოვლისათვის საჭირო სამედიცინო აღჭურვილობისა და ინვენტარის შექმნას:**

- ინვალიდის სავარძელი;
- ამწევი მოწყობილობა;
- შარდის/განავლის შეუკავებლობისათვის აუცილებელი ინვენტარი.

❖ **სამედიცინო ინვენტარით უზრუნველყოფას:**

- პარენტრალური ინფუზიისათვის აუცილებელი ინვენტარი

❖ **მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემოს მოდიფიცირება**

ბინაში უნდა შეიქმნას გარემო, სადაც პაციენტი თავს კომფორტულად იგრძნობს და მაქსიმალურად დიდხანს შეინარჩუნებს ყოველდღიური საქმიანობისა და თუნდაც პირადი ჰიგიენის დაცვის უნარს:

- გადასაადგილებელი ხარისხები;
- კარების გაფართოება;
- ტუალეტის ამაღლება;
- აბაზანის მოწყობილობა;
- მობილური საწოლი;
- სპეციალური ლეიბი ნაწოლების პრევენციისათვის;
- სველი წესით წნევით გამფრქვევი;
- კიბის ლიფტი (სასურველია).

7. საექთნო მოვლა:

ზოგადი პრაქტიკის ექთნის მიერ პაციენტის ბინაზე შესასრულებელ ვიზიტებს ოჯახის/უბნის ექიმი გეგმავს პაციენტის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე; საექთნო მოვლა გულისხმობს:

- ნაწოლების პრევენციასა და მოვლას;
- შარდის/განავლის შეუკავებლობის შემთხვევაში პაციენტის ახლობლებისათვის შესაფერისი რჩევების მიცემას;
- პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის კვების სათანადო რეჟიმის შერჩევის შესახებ რეკომენდაციების მიცემას;
- ჭრილობებისა და ფისტულის მოვლას;
- პათოლოგიური კერის სოკოვანი ინფექციისაგან დაცვას ან აღმოცენებული ინფექციის შემთხვევაში სათანადო მოვლის უზრუნველყოფას;

- პაციენტის პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების შესახებ რჩევა-დარიგებას ან, საჭიროების შემთხვევაში, ამ პროცესში უშუალო მონაწილეობას.

საექთნო კონსულტაციის გამოსავალი:

1. პაციენტისა და მისი ოჯახის ინფორმირება დანიშნული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ – პაციენტთან ყოველი კონტაქტისას, თუკი პაციენტი ან მისი ოჯახი გამოთქვამს ამ ინფორმაციის მიღების სურვილს;
2. კონტროლი, რამდენად ასრულებს პაციენტი დანიშნულ მკურნალობას – ყოველ რუტინულ ვიზიტზე;
3. ტკივილზე კონტროლის დაკარგვის ან სხვა სიმპტომების მანიფესტირების შემთხვევაში ექიმის სასწრაფო ვიზიტის უზრუნველყოფა.
4. გადაუდებელი მდგომარეობების დროული იდენტიფიკაცია და პაციენტის ჰოსპიტალიზაციამდე პირველი დახმარების აღმოჩენა.

საკითხი დისკუსიისთვის:

რას მოიცავს ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ პაციენტებში ტკივილის მართვის პრინციპები; რა საკითხებზე ესაჭიროება პაციენტს/მომვლელს განათლება აღნიშნული პრობლემის მართვის მიზნით?

- პაციენტი ინფორმირებული უნდა იყოს ტკივილისა და მისი მართვის გეგმის შესახებ და თავადაც აქტიურად მონაწილეობდეს ტკივილის მართვის პროცესში. მთავარია იმის გაცნობიერება, რომ პალიატიური მკურნალობა აქტიური და არა პასიური პროცესია.
- კიბოთი დაავადებულ პაციენტებში ტკივილის მართვა უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ანალგეზიური კიბის" მიხედვით;
- ჯანმოს მიერ შემუშავებული ტკივილის მართვის სტრატეგია წარმოადგენს სტანდარტს, რომელსაც ანალგეზიის მიზნით წარმოებულ ყველა სხვა მკურნალობის მეთოდს შევადარებთ. კლინიკურ პრაქტიკაში ეს მეთოდი, ხშირად სხვა ანალგეზიურ საშუალებებთან (მაგ. ნერვის კანქვეშა ელექტრული სტიმულაცია, აკუპუნქტურა, ნერვული ღეროს ბლოკადა და ა.შ) კომბინაციაში გამოიყენება;
- ტკივილის რეგულარული შეფასების მიზნით, აუცილებელია პაციენტზე სისტემატური მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- ტკივილის კონტროლისა და პრევენციის მიზნით, საჭიროა ორივეს—ფარმაკოლოგიური და არაფარმაკოლოგიური ღონისძიებების გამოყენება;
- ტკივილის ოპტიმალური კონტროლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის პირობებში. იდეალურ შემთხვევაში, ტკივილის მართვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს პაციენტი, პირველადი ჯანდაცვის ექიმი, ონკოლოგი, ექთანი, ანესთეზიოლოგი, ქირურგი, ფიზიოთერაპევტი, შრომითი თერაპევტი, კლინიკური ფსიქოლოგი და პალიატიური მედიცინის ექსპერტი.

კლინიკური (1) შემთხვევა

უბნის ექთანმა პალიატიურ პაციენტთან ვიზიტისას დაადგინა, რომ უკვე ერთი კვირაა, რაც პაციენტს უბდება ხანმოკლე მოქმედების პრეპარატების გამოყენება და ეს თითქმის სამჯერ აღემატება ადრე მოხმარებულ რაოდენობას. როგორ უნდა მოიქცეს ექთანი ასეთ შემთხვევაში? რა ძირითადი ასპექტები უნდა გაითვალისწინოთ ტკივილის შეფასებისას?

ტკივილის სრულყოფილად შესაფასებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

1. ფიზიკური შედეგები/ტკივილის მანიფესტაცია;
2. ფუნქციონალური შედეგები:
 - რამდენად ამცირებს ტკივილი პაციენტის მიერ ყოველდღიური საქმიანობის შესრულების უნარს.
3. ფსიქოსოციალური ფაქტორები:
 - შფოთვა, ხასიათი, კულტურული თავისებურებები, შიში, ზემოქმედება პიროვნებათაშორის ურთიერთობებზე, ტკივილის ზღურბლზე მოქმედი ფაქტორები.
4. სულიერი ასპექტები—აქ მოიაზრება პაციენტის წარმოდგენა იმპეცინიურ ცხოვრებასა და სულის უკვდავობის კონცეფციაზე. რელიგიური მრწამსი ამ სფეროს აუცილებელი კომპონენტი არ არის. სულიერი საჭიროებების განსაზღვრა ძალიან ფართო და პირობითი ცნებაა, თუმცა ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს პალიატიურ მედიცინაში პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის დამკვიდრების აუცილებლობას.

ექთნის მიერ უნდა შეფასდეს:

- ტკივილის ინტენსივობა;
- ტკივილის შემსუბუქების მომენტი;
- ტკივილით გამოწვეული ფსიქოლოგიური დისსტრესი - ფაქტორების შეფასება, რომლებიც აქვეითებენ ტკივილის ტოლერანტობას (დისკომფორტი, უძილობა, დაღლილობა, შფოთვა, შიში, სიბრაზე, მოწყენილობა, მწუხარება, დეპრესია, ინტროვერტიზმი, სოციალური განყენება, მენტალური იზოლაცია)
- ფუნქციონირების უნარის გაუარესება.

პრობლემა: ტკივილზე კონტროლის დაკარგვა

ექთნის მოქმედება:

1. ოჯახის ექიმის სასწრაფო ვიზიტის უზრუნველყოფა
2. პაციენტის ოჯახის წევრებსაც უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია ტკივილის მართვის შესახებ. ეს, მათი ცოდნის დეფიციტის შევსებისა და ანალგეზიური საშუალებების მოხმარების რეჟიმის, მათ მიმართ ტოლერანტობისა და დამოკიდებულების განვითარების თაობაზე მცდარი წარმოდგენების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა.

უნდა გახსოვდეთ: ტკივილის მართვის გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ტკივილის ხასიათის (ტიპი), ინტენსივობისა და პაციენტის ცხოვრების ხარისხზე მისი ზეგავლენის გარკვევა.

ტკივილი, პირველ რიგში, თავად პაციენტმა უნდა შეაფასოს, ცხადია, თუკი მისი მენტალური სტატუსი ამის საშუალებას იძლევა.

თუკი პაციენტთან კომუნიკაცია გართულებულია (დემენცია, დელირიუმი, დისფაზია), მომვლელის მოსაზრებას ტკივილის სიმძიმის თაობაზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

კლინიკური (2) შემთხვევა

29 წლის ახალგაზრდა მამაკაცს დაენიშნა ტკივილების გამო მორფინით მკურნალობა, რაზეც დედა ძალიან სწუხს. ეშინია მის შვილს არ განუვითარდეს წამალზე დამოკიდებულება

რა საკითხებზე ესაჭიროება პაციენტს/მომვლელს განათლება აღნიშნული პრობლემის მართვის მიზნით?

პაციენტს/მომვლელის განათლება აღნიშნული პრობლემის მართვის მიზნით:

- ქრონიკული ტკივილის შემთხვევაში ანალგეზიური პრეპარატი ინიშნება რეგულარული პერიოდულობით და არა საჭიროების დროს. პაციენტმა ამის თაობაზე კარგი განმარტება უნდა მიიღოს. ეს ამცირებს ავადმყოფის მიერ დანიშნულების შეუსრულებლობის რისკს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს საუკეთესო გამოსავალს.
- პაციენტები, რომლებიც საშუალო სიმძიმიდან მძიმე ინტენსივობის ტკივილის კუპირებისათვის ოპიოიდების მიღებას აპირებენ, უნდა გავაფრთხილოთ პირველ ხანებში მოსალოდნელი სედაციური მოქმედების შესახებ, რათა მათ თავი შეიკავონ ავტომობილის ან სხვა ავტომატური მოწყობილობის მართვისაგან
- ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებთან ერთად მაქსიმალურად რაციონალურად უნდა მოხდეს სედაციური მოქმედების სხვა პრეპარატების დანიშვნა, რაც მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა განხორციელდეს
- ოპიოიდური ანალგეზიური პრეპარატებით მკურნალობის დაწყება არ უნდა შეფერხდეს ფარმაკოლოგიური ტოლერანტობის შიშის გამო. კლინიკურ პრაქტიკაში ეს მოვლენა არ აღინიშნება. პაციენტები უნდა დაარწმუნოთ, რომ ასეთ დროს ფსიქოლოგიური დამოკიდებულების განვითარება, მოსალოდნელი არ არის. (ოპიოიდების ქრონიკული გამოყენებისას ზოგჯერ ფიზიკური დამოკიდებულება ვითარდება და ოპიოიდური პრეპარატების უეცარი შეწყვეტა, იშვიათ შემთხვევაში, მოხსნის სინდრომს იწვევს, თუმცა, ასეთი რამ ხშირად არ აღინიშნება). პაციენტს უნდა განუმარტოთ, რომ ზოგჯერ პაციენტს, ტკივილის კუპირების მიზნით, მორფინი მხოლოდ მოკლე ხნის მანძილზე ესაჭიროება. თუ მორფინის გამოყენებისათვის სამედიცინო ჩვენება აღარ არსებობს (ანუ ამ შემთხვევაში ტკივილის ინტენსივობა იკლებს), პრეპარატის დოზის შემცირება და მოხსნა შეიძლება თავისუფლად, კლინიკურად მნიშვნელოვანი გართულებები ამ დროს მოსალოდნელი არ არის.

კლინიკური (3) შემთხვევა

55 წლის პაციენტი, ქალბატონი, დიაგნოზით ღვიძლის კიბო. უკანასკნელი ორი კვირაა თითქმის არ ჭამს. აქვს გულისრევა, პერიოდულად აღინიშნება ღებინებაც. რას ურჩევდით პაციენტს?

ექთნის მოქმედება:

- (1) გულისრევისა და ღებინების მიზეზის დადგენა (რამდენადაც ეს შესაძლებელია);
- (2) ღებინების დროს ასპირაციის რისკის შემცირების მიზნით პაციენტის ჰორიზონტალურ პოზიციაში მოთავსებისაგან თავის შეკავება;
- (3) პაციენტის მდგომარეობისა და მისი გარემომცველი სიტუაციის შეფასება და გარკვეული ღონისძიებების დასახვა—რა შეიძლება გაუმჯობესდეს;
- (4) ყურადღება უნდა მიექცეს სხეულის სუნს;
- (5) საკვების მცირე ულუფებით ხშირად მიღება—მიეცით პაციენტს საშუალება, მიირთვას ის, რაც მოსწონს;
- (6) ლამაზად გაშლილი სუფრა ან მიმზიდველად გაფორმებული ლანგარი ხშირად მადის აღძვრის კარგი საშუალებაა.
- (7) ანორექსიის მართვისას აუცილებელია პირის ღრუს შესაფერისი მოვლა—ორალური კანდიდოზისა და სხვა პრობლემების პრევენცია და მკურნალობა. ორალური კანდიდოზი ძალიან ხშირია ტერმინალურ პაციენტებში, პირის ღრუს განსაკუთრებით კარგი მოვლის პირობებშიც კი.

ანორექსიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის ორალური კვების უზრუნველყოფას (ხელშეწყობას). საჭიროა საკვების მიღების სათანადო რეჟიმის განსაზღვრა—სამედიცინო პროცედურებსა და მედიკამენტების მიღებას შორის ზუსტი ინტერვალების დადგენა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოპოიდების ფონზე პაციენტების 30-60% -ში მოსალოდნელია გულისრევისა და/ან ღებინების განვითარება. ეს მოვლენები პაციენტების დიდ ნაწილში თანდათან, მკურნალობის დაწყებიდან 5-10 დღეში), ნაკლებად თვალსაჩინო ხდება.

თუ პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ოჯახის ექიმთან ვიზიტის ორგანიზება.

კლინიკური (4) შემთხვევა

პაციენტი, 45 წლის ქალი სარძევე ჯირკვლის მეტასტაზური დაავადებით. პაციენტი კახექსიურია. მონიტორინგის ვიზიტისას აღმოაჩინეთ, რომ პაციენტს აქვს ჰაერის უკმარისობა. პაციენტი აგზნებულია და ითხოვს შევლას.

ჩამოაყალიბეთ ექთნის მოქმედების გეგმა:

ძირითადი ამოცანაა:

1. ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში რესპირატორული სიმპტომების იდენტიფიცირება;
2. ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში რესპირატორული სიმპტომების გამომწვევი ძირითადი მიზეზის კორექციებისათვის ოჯახის ექიმის ვიზიტის ორგანიზება;
3. ზოგადი პრაქტიკის ექთანს პაციენტსა და მისი ოჯახის წევრებს რესპირატორული სიმპტომების შემამსუბუქებელი ღონისძიებების შესრულების წესების შესახებ ინფორმაციას აწვდის;

ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის მდგომარეობის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი რესპირატორული სიმპტომების არსებობას, როგორცაა ხველა და ქოშინი;

ტერმინალურ ონკოლოგიურ პაციენტებში სუნთქვის სიმპტომების მართვის პრინციპები:

- **ოპიოიდები** და **ჟანგბადი** ქოშინის მართვისათვის შერჩევის პრეპარატებია.
- თუკი ქოშინს თან ახლავს შფოთვა, დამატებით, რეკომენდებულია **ბენზოდიაზეპინები**;
- ზოგადი პრაქტიკის ექთანი უნდა დაეხმაროს პაციენტს მაქსიმალურად კომფორტული პოზის შერჩევაში;
- ქოშინი და სუნთქვის მზარდი უკმარისობა პლევრის ღრუში დიდი რაოდენობით სითხის დაგროვების შედეგი შეიძლება იყოს.
- ტერმინალურ პაციენტებში მოსალოდნელია მწვავე რესპირატორული დისსტრესის აღმოცენება (ე.წ. რესპირატორული პანიკა). ეს ტერმინი მხოლოდ იმის გამო გამოიყენება, რომ პაროქსიზმის სიმძიმე და მწვავედ განვითარების მომენტი გამოიხატოს. შეტევა ისტერიასთან დაკავშირებული არ არის. ასეთი პაროქსიზმები, ცხადია, დაავადების ადრეულ ეტაპზე შეიძლება განვითარდეს (ფილტვის არტერიის ემბოლიის, ტრაქეის ობსტრუქციის ან ასთმის შეტევის გამო), შეტევის კუპირება დაავადების ნებისმიერ ეტაპზე ერთნაირი გზით ხდება. პაციენტს უნდა მივცეთ ჟანგბადიც. ბინაზე პალიატიური მოვლისას დაბალია იმის ალბათობა, რომ რესპირატორული შეტევის დროს იქ სამედიცინო პერსონალი იქნება, ამდენად, მნიშვნელოვანია პაციენტის ოჯახის წევრების (მომვლელის გაფრთხილება) მოსალოდნელი რესპირატორული შეტევისა და ამ დროს პირველი დახმარების შესახებ. საუკეთესო პრაქტიკის პირობებში პაციენტის ახლობლებს უნდა ჰქონდეთ ნებულაიზერით (სველი წესით წნევით გამფრქვევი) ოპიოიდების ან ლიდოკაინის მიწოდების შესაძლებლობა.
- ზოგადი პრაქტიკის ექთანმა უნდა უზრუნველყოს პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების ინფორმირება აგრეთვე:
 - ჟანგბადის მოხმარების წესზე;
 - პაციენტის მოვლის ზოგად პრინციპებზე, რაც რესპირატორული სიმპტომების გაუარესების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა (მაგ. დიდხანს ერთ გვერდზე წოლა—ფილტვის უნილატერალური შეშუპების, კუჭის შიგთავსის ასპირაციის თავიდან ასაცილებლად)
- რესპირატორული სიმპტომების მართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას. თუმცა, ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ ტერმინალურ პაციენტებში ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდების ეფექტურობა, ჯერჯერობით, გაურკვეველია.
- ექთანმა უნდა განსაზღვროს რესპირატორული სიმპტომების გამომწვევი ძირითადი მიზეზის კორეგირებისათვის ოჯახის ექიმის ვიზიტის ორგანიზების აუცილებლობა ან
- განსაზღვროს სასწრაფო ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა

კლინიკური (5) შემთხვევა

51 წლის მამაკაცს, რომელსაც პაციენტს კოლინჯის კიბო აქვს და ტერმინალურ ფაზაშია, უკანასკნელ ხანს მზარდი ინტენსივობის დებრესია განუვითარდა. მამაკაცი იმდენად აჟიტირებულა, რომ ღამით საერთოდ ვეღარ იძინებს. პაციენტთან საუბრის შემდეგ, საეჭვოა, აჟიტირებით მიმდინარე დებრესიის დიაგნოზი. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოქმედების გეგმა.

- პაციენტის მდგომარეობა მხოლოდ სომატური გენეზით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა დეპრესია, შფოთვა, ბრაზი, იზოლაცია. დეპრესიით დაავადებულობა ბევრად მაღალია ონკოლოგიურ პაციენტებში. დეპრესიით დაავადებულობა დაკავშირებული არ არის ანამნეზში დეპრესიის ეპიზოდთან. ამ ჯგუფში დეპრესიით დაავადებულობა ძლიერი ტკივილის დროს მაღალია ანამნეზში დეპრესიის დაბალი სიხშირის მიუხედავად.
- დეპრესია სიმსივნით დაავადებულ პაციენტებში ხშირად არადიაგნოსტირებული რჩება. დეპრესიის დიაგნოსტირება ტერმინალურ პაციენტებში რთულია, ვინაიდან მნიშვნელოვანი ზედდება აღინიშნება დეპრესიის, კიბოს სიმპტომებსა და კიბოსსაწინააღმდეგო მკურნალობის გვერდით მოვლენებს შორის. თუმცა, პაციენტის საფუძვლიანი გამოკითხვა საშუალებას იძლევა გაირკვეს, რითაა ეს სიმპტომები გამოწვეული – ფსიქიკური პათოლოგიით, კიბოთი, თუ მკურნალობით.
- ფსიქიკური დარღვევის იდენტიფიცირების მიზნით, აუცილებელია პაციენტის ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობის შეფასება. ოჯახური დისფუნქციის ფონზე ერთგვარი მანკიერი წრე იკვრება. დაავადებით გამოწვეული ძლიერი ემოციური პასუხი ოჯახზეც აისახება, ხოლო ოჯახური დისფუნქცია შემდეგ კვლავ უკუქმედებს პაციენტის ემოციურ რეაქციებსა და ფსიქიკაზე, ტკივილსა და სხვა სიმპტომებზე მომდევნო პასუხი, შესაძლოა კიდევ უფრო მძიმე იყოს.

ტერმინალური ონკოლოგიური პაციენტის ფსიქო/ემოციური საჭიროებების შეფასება გულისხმობს:

- პაციენტის ფსიქო/ემოციური მდგომარეობის შეფასებას;
- მოსალოდნელი ფსიქიკური დარღვევების იდენტიფიცირებას;
- საკუთარი მდგომარეობის თაობაზე პაციენტის ცოდნის, გაგებისა და დამოკიდებულების გამოკვლევას;
- პაციენტის მდგომარეობისადმი ოჯახის წევრების დამოკიდებულების განსაზღვრას.
- განისაზღვროს ოჯახის ექიმის ვიზიტის ორგანიზების აუცილებლობა ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად.

კლინიკური (6) შემთხვევა

ბინაზე ვიზიტისას, 42 წლის ქალბატონთან, რომელსაც სარძევე ჯირკვლის დისემინირებული კიბო აქვს, იგრძენით საშინელი სუნი. მეგობრებმა ამ სუნის გამო შეწყვიტეს პაციენტის სანახავად სიარული. ქალბატონმა და მისმა ოჯახმა ათას ხერხს მიმართეს, რათა როგორმე მოეგვარებინათ ეს პრობლემა, მაგრამ უშედეგოდ. რას ურჩევდით პაციენტს?

საჭიროა დაზიანებული არის დამუშავება ჰიპერტონული (და არა სხვა დეზოდორანტებით) ხსნარით;

(ბ) ეფექტურია იოგურტის აპლიკაციები (იოგურტი არ უნდა შეიცავდეს ხილის დანამატებს);

(გ) ასევე ეფექტურია დოს აპლიკაციები;

(დ) პაციენტის ოთახსა და ბინაში უნდა მოთავსდეს ნახშირის ბრიკეტები, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს შემაწუხებელ სუნს.

სასწავლო მეთოდის დასახელება	მეთოდის აღწერა	კლინიკური სწავლების გამოსავალი (რა პრაქტიკული ჩვევის ათვისება მოჰყვება კონკრეტულ მეცადინეობას)
<p>მეთვალყურეობა რეალურ კონსულტაციაზე/ პროცედურაზე; კლინიკური შემთხვევის განხილვა; როლური თამაში</p>	<p>უბნის ექთნების მიერ ბინაზე ჩატარებულ მუშაობაზე დასწრება - ბინაზე მწოლიარე და სახლს მიჯაჭვულ იმ ტერმინალურ პაციენტებთან ვიზიტი, რომელთაც ესაჭიროებათ ბინაზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სპირიტუალური შეფასებების ჩატარება, საექთნო მოვლა, მხარდაჭერა, პაციენტების/მომვლელელების განათლება და ა.შ.</p> <p>ყოველდღიურად 30 წთ დაეთმობა კლინიკურ პრაქტიკაზე დასწრების - რეალურ პაციენტებთან მუშაობის შედეგების განხილვას.</p> <p>უნდა შეფასდეს, თუ როგორ იქნება აღნიშნულ შემთხვევაში მიღწეული საექთნო კონსულტაციის და მოვლის ამოცანები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტერმინალური პაციენტის მდგომარეობის მ.შ. ტკივილის შეფასება და კონტროლი • სხვა სიმპტომების შეფასება და კონტროლი • ფსიქიკური სფეროს შეფასება და დახმარების აღმოჩენა • ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის საჭიროებების შეფასება
	<p>განხილული იქნება კლინიკური შემთხვევები,, სადაც მსმენელის მიერ უნდა ჩატარდეს: საექთნო შეფასება განისაზღვროს პრობლემა მოხდეს პრობლემის ფორმულირება პრობლემის დანერგვის მიზნით მოხდეს საექთნო გეგმის შემუშავება</p>	<ul style="list-style-type: none"> - საექთნო შეფასების უნარ-ჩვევები; - პრობლემის იდენტიფიცირების უნარ-ჩვევები - პრობლემის ფორმულირების უნარ-ჩვევები; - პრობლემის გადაჭრის მიზნით საექთნო გეგმის შემუშავების უნარ-ჩვევები
	<p>შეფასების საფუძველზე გამოვლენილი სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ინდივიდუალური სწავლების გზით, ვიდრე მსმენელი ახალი მოდულის შესწავლას შეუდგება.</p>	

მრავალდისციპლინარული მეცადინეობების გეგმა

თემა: პირველადი ჯანდაცვის არსი (16 საათი)

მეცადინეობის ხანგრძლივობა: **8** აკადემიური საათი

მეცადინეობის ტიპი: მრავალდისციპლინარული

მეცადინეობა ტარდება ექიმებისა და ექთნების გაერთიანებულ ჯგუფში. მეცადინეობას თითოეულ ჯგუფში ესწრება **12** მსმენელი.

სასწავლო მეთოდოლოგია: ლექცია/პრეზენტაცია საკვანძო საკითხების გარშემო (იხ. სასწავლო გეგმა)

10.00–11.30

მისალმება/გაცნობა - 10წთ

სასწავლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა 30 წთ

რა არის პირველადი ჯანდაცვა – პჯდ სისტემა საქართველოში

11.30–11.45

შესვენება

11.45–13.15

პირველადი ჯანდაცვის განმარტება

13.15–14.15

საუზმე

14.15–15.45

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროცესის მიმოხილვა

- მიზანი
- რეფორმის პროგრამის მთავარი მიმართულებები

15.45–16.00

შესვენება

16.00–17.30

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროცესის მიმოხილვა (გაგრძ):

- ძირითადი ეტაპები (რეფორმის გზამკვლევი-ნომბერი 2004)
- პროცესში მონაწილე ძირითადი მხარეები
- პჯდ ახალი სისტემისთვის ადამიანური რესურსის განვითარება

მეცადინეობის ხანგრძლივობა: 8 აკადემიური საათი
მეცადინეობის ტიპი: მრავალდისციპლინარული
სასწავლო მეთოდოლოგია:

- ინტერაქტიული მუშაობა საკვანძო საკითხების გარშემო მცირე ჯგუფებში
- მსმნელთა პრეზენტაციები ყოველი საკვანძო საკითხის გარშემო
- მუშაობა მცირე ჯგუფებში კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად:

ოთხი სამ-სამ კაციანი მცირე ჯგუფი იმსჯელებს შემდეგი საკითხების გარშემო:

პრობლემა 1

თქვენს პრაქტიკას, რომლის ძირითადი პერსონალი 1 ექიმი და 1 ექთანია, მომართავს 78 წლის მამაკაცის მეუღლე. ქალბატონი გაცნობებთ, რომ ისინი ახლახანს გადმოვიდნენ საცხოვრებლად ამ უბანში და სურვილი აქვთ თქვენ გაუწიონ სამედიცინო მომსახურება. მისი მეუღლე გადატანილი ინსულტის გამო ლოგინსაა მიჯაჭვული და ამდენად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ჩამოაყალიბეთ სამოქმედო გეგმა, სადაც აისახება ყველა ნაბიჯი, რომელთა განხორციელება თქვენ ამ პაციენტის ინტერესების/საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოგიწევთ.

პრობლემა 2

თქვენს პრაქტიკას, რომლის ძირითადი პერსონალი 1 ექიმი და 1 ექთანია, მომართავს 23 წლის ქალბატონი. იგი გაცნობებთ, რომ თავისი ოჯახით (მეუღლე და ორი გოგონა: უფროსი 3წლის, ხოლო უმცროსი 2 თვის) ახლახან გადმოვიდნენ საცხოვრებლად ამ უბანში და სურვილი აქვს თქვენ გაუწიონ სამედიცინო მომსახურება.

ჩამოაყალიბეთ სამოქმედო გეგმა, სადაც აისახება ყველა ნაბიჯი, რომელთა განხორციელება თქვენ ამ პაციენტის და მისი ოჯახის ინტერესების/საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოგიწევთ.

- თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს

მეცადინეობის დასასრულს მოდულის ფარგლებში შესწავლილი საკითხების გარშემო ჩატარდება მსმენელთა ცოდნის შეფასება (პოსტ-ტესტი) იმავე კითხვარით, რომელიც გამოყენებულ იქნა სწავლების დაწყებამდე.

- 10.00–11.30** მოკლე მიმოხილვა/გასული დღეებში განხილული თემების შეჯამება
- რა არის პირველადი ჯანდაცვა
რა არის საოჯახო მედიცინა
- 11.30–11.45** შესვენება
11.45–13.15 დისკუსია საკვანძო საკითხების გარშემო
-რატომ არის მნიშვნელოვანი პირველადი ჯანდაცვის განვითარება?
-რა არის საოჯახო მედიცინის მოდელის ძირითადი მახასიათებლები
- დისკუსიის შედეგების შეჯამება
- 13.15–14.15** საუზმე
- 14.15–15.45** დისკუსია საკვანძო საკითხების გარშემო:
- რა დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი საოჯახო მედიცინის მოდელის განვითარების პირობებში?
 - რა სირთულეებია მოსალოდნელი საქართველოში საოჯახო მედიცინის მოდელის განვითარების პროცესში?
- დისკუსიის შედეგების შეჯამება
- 15.45–16.00** შესვენება
16.00–17.30 პჯდ გუნდის როლი პაციენტის პრობლემის იდენტიფიკაციისა და ხანგრძლივი მართვის პროცესში
- მუშაობა მცირე ჯგუფებში პრობლემა 1 და პრობლემა 2-ში აღწერილი სცენარების გარშემო
- მსმენელთა პრეზენტაციები
- პოსტ-ტესტი
- ჯგუფური მუშაობის შედეგების შეჯამება

თემა: ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში

- 14.15-15.45 **მეცადინეობის ტიპი: მრავალდისციპლინარული (4სთ)**
ბავშვთა ასაკში გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობების შეფასება და მართვა
პჯდ გუნდის როლი ამ პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და მართვაში
- 15.45-16.00 შესვენება
16.00-17.30 მსმენელთა პრეზენტაციები
ჯგუფური მუშაობის შედეგების შეჯამება

მეცადინეობის ტიპი: მრავალდისციპლინარული (4 სთ)

ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობის ძირითადი ასპექტები.

სამი ოთხ-ოთხ კაციანი მცირე ჯგუფი იმსჯელებს შემდეგი საკითხების გარშემო:
პრობლემა 1– აღრიცხვაზე ახლად აყვანილი ახალშობილი (თქვენს პრაქტიკას მომართავს ახალგაზრდა მშობლები, რომლებსაც ახლახან შეემინათ ბავშვი და სურვილი აქვთ თქვენ გაუწიოთ სამედიცინო მომსახურება).

პრობლემა 2–ახლად აყვანილი პაციენტი (თქვენს პრაქტიკას მომართავს ახალგაზრდა მშობლები, რომლებიც ჩამოვიდნენ სხვა ქვეყნიდან. მათ ყავთ 1 წლის გოგონა და 5 წლის ვაჟი).

ჩამოაყალიბეთ სამოქმედო გეგმა, სადაც აისახება ყველა ნაბიჯი, რომელთა განხორციელება თქვენ ამ პაციენტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოგიწევთ.

პრობლემა 3–თქვენს სამედიცინო დაწესებულებაში თქვენი სამოქმედო ტერიტორიიდან პრევენციის მიზნით მომართვიანობა არის დაბალი. რას მოიმოქმედებთ პრევენციის მიზნით მომართვიანობის გაზრდისთვის?

როგორ გესახებათ, პირველადი ჯანდაცვის გუნდის როლი პაციენტთა პრევენციის მიზნით მომართვიანობის გაზრდაში.

შესვენება

ჯგუფური დავალების პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობის შედეგების შეჯამება.

- 14.15-15.45 **მეცადინეობის ტიპი: მრავალდისციპლინარული პრეზენტაცია თემაზე: პირველადი ჯანდაცვის გუნდის როლი ინფექციური დაავადებების პრევენციაში, აგრებით მოცვის დონის მონიტორინგი.**
მცირე ჯგუფებში მუშაობა: როგორ გავზარდოთ ვაქცინაციით მოცვის დონე.
- 15.45-16.00 შესვენება
16.00-17.30 მსმენელთა პრეზენტაციები
ჯგუფური მუშაობის შედეგების შეჯამება

14.15-15.45

მეცადინეობის ტიპი: მრავალდისციპლინარული
პრეზენტაცია თემაზე: მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული ასპექტები–ზოგადი მიმოხილვა.

მცირე ჯგუფებში მუშაობა, სამი ოთხ-ოთხ კაციანი მცირე ჯგუფი იმსჯელებს შემდეგი საკითხის გარშემო:

რა როლი შეუძლია შეასრულოს პირველადი ჯანდაცვის გუნდს მოზარდთა ჯანმრთელობის დამკვიდრებაში? (კლინიკების ორგანიზება, მოზარდების მოზიდვა, ღონისძიებანი რაც სკრინინგის მიზნით შეიძლება ჩატარდეს, მოზარდთა განათლება)

15.45-16.00

შესვენება

16.00-17.30

ჯგუფური დავალების პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობის შედეგების შეჯამება.

თემა: ორსულთა მეთვალყურეობა

მრავალდისციპლინარული მეცადინეობა

14.00–15.30

პრეზენტაცია: ზოგადი მიმოხილვა პირველად ჯანდაცვაში ორსულთა მეთვალყურეობის ძირითადი ასპექტების შესახებ; პრევენციის მნიშვნელობა ქალთა ჯანმრთელობის დამკვიდრებაში; მშობელთა განათლება და მომზადება ბავშვის დაბადებისა და მოვლისათვის.

15.30–15.45

შესვენება

15.45–17.00

საკითხი მცირე ჯგუფური მუშაობისთვის: თქვენი პრაქტიკა აპირებს ორსულთა სამედიცინო მეთვალყურეობის აუდიტის ჩატარებას. ჩამოაყალიბეთ აუდიტის კრიტერიუმები, განმარტეთ თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელობა.

თემა: ოჯახის დაგეგმვა

14.15-15.00	<p>ზოგადი მიმოხილვა პირველად ჯანდაცვაში ოჯახის დაგეგმვის მნიშვნელობის შესახებ. დისკუსია თემაზე: კონტრაცეპციის როლი არასასურველი ორსულობის და მასთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილებაში. პ/ჯ-ის როლი, ოპორტუნისტული კონსულტირება.</p>
15.00-15.45	<p>სიტუციური ამოცანა მცირე ჯგუფში მუშაობისათვის (3 ჯგუფი 4-4 მსმენელის შემადგენლობით). მოგმართათ 32 ქლის ქალბატონმა, რომელსაც 3-4 თვის წინ კონტრაცეპციის მიზნით ჩაუდგით საშვილოსნოს შიდა მოწყობილობა. პაციენტი აღნიშნავს რომ მას შემდეგ გაუძლიერდა და გაუხანგრძლივდა მენსტრუალური სისხლდენა. ითხოვს მოაშოროთ იგი. თქვენი სამოქმედო გეგმა. როგორ მართავთ პრობლემას ?</p>
15.45-16.00	<p>განსაზღვრეთ ექიმის და ექთნის როლი პრობლემის მართვაში შესვენება</p>
16.00-16.30	<p>მცირე ჯგუფში მუშაობის გაგრძელება. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს.</p> <p>ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: პაციენტის მომართვის ჭეშმარიტი მიზეზის განსაზღვრა. პაციენტის კონსულტირება სშს-ს თაობაზე, გვერდითი ეფექტების შესახებ. კონტრაცეფციის სხვა მეთოდების შესახებ. პაციენტის გადაწყვეტილება : გამოიყენოს კონტრაცეპციის სხვა მეთოდი ექიმის მიერ პაციენტის მდგომარეობის შეფასება, კონტრაცეპტივის წინააღმდეგჩვენებების გათვალისწინება.</p>
16.30-17.30	<p>პაციენტის განმეორებითი კონსულტირება შერჩეული კონტრაცეპტივის გვერდითი ეფექტების შესახებ. შემდეგი ვიზიტის ორგანიზება</p> <p>დღის შედეგების შეჯამება</p>

თემა: სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

განკუთვნილი დრო-4 სთ. –

სასწავლო მეთოდოლოგია:

ინტერაქტიული მუშაობა მცირე ჯგუფში საკვანძო საკითხების ირგვლივ, მცირე ჯგუფებში (ჯგუფი გაიყოფა 3 ქვეჯგუფათ 4-4 მსმენელის შემადგენლობით) დისკუსია კონკრეტული პრობლემის ირგვლივ. მსმენელთა პრეზენტაციები. შეფასება მოხდება მსმენელთა მიერ წარმოდგენილი ნამუშევარის შეფასებით.

14.15-15.00 ზოგადი მიმოხილვა პ/ჯ-ში სგგი-ის მართვის ძირითადი ასპექტების შესახებ. სგგი-ის კონტროლისა და პრევენციის მნიშვნელობა ქალთა ჯანმრთელობის დამკვიდრების საქმეში, ოპორტუნისტული კონსულტირება სგგი-ის თაობაზე.

15.00-15.45 სიტუციური ამოცანა მცირე ჯგუფში მუშაობისათვის (3 ჯგუფი 4-4 მსმენელის შემადგენლობით).

26 წლის ქალბატონმა მომართა პრაქტიკას თითზე უმნიშვნელო ჭრილობის გამო. ექთანმა საუბრისას აღმოაჩინა რომ, პაციენტი წუხს საშოდან გამონადენის გამო, რომელიც მას აღენიშნება რამოდენიმე დღეა. პაციენტს ჰყავს ერთი მუდმივი პარტნიორი, რომელთანაც უკანასკნელი სქესობრივი კავშირი ჰქონდა ერთი კვირის წინ.

როგორ მართავთ პრობლემას ?

განსაზღვრეთ ექიმის და ექთნის როლი პრობლემის მართვაში

15.45-16.00

შესვენება

16.00-16.30

მცირე ჯგუფში მუშაობის გაგრძელება.

16.30-17.30 თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- პაციენტის მომართვის ჭეშმარიტი მიზეზის განსაზღვრა.
- პაციენტის კონსულტირება სგგი-ის თაობაზე, რათა პაციენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამოკვლევის და მკურნალობის თაობაზე.
- პრობლემის იდენტიფიცირება, ფსიქო-სოციალური ასპექტების გათვალისწინება, ადეკვატური მკურნალობა, მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის მიღწევა მკურნალობის სრული კურსის ჩატარების თაობაზე, ინფორმაცია სგგი-ისგან დაცვის შესახებ.
- კონფიდენციალობის დაცვა.
- ინფორმაცია პარტნიორის შესახებ. პარტნიორის დათანხმება მკურნალობაზე.
- შემდეგი ვიზიტის ორგანიზება.

დღის შედეგების შეჯამება

თემა: ბრონქული ასთმის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში

- 14.00–14.30** პრეზენტაცია თემაზე: ბრონქული ასთმის მართვა ზოგად პრაქტიკაში
- 14.30–15.00** პჯდ გუნდის როლი ბრონქული ასთმის მართვაში
- 15.00–15.30** ექიმისა და ექთნის ფუნქციების განსაზღვრა ბრონქული ასთმის მართვის საქმეში
- 15.30–15.45** შესვენება
- 15.45–17.00** კონკრეტული პრაქტიკისთვის ბრონქული ასთმის მართვის ოქმის (პროტოკოლის) შემუშავება და ჯგუფების მიერ შემუშავებული პროტოკოლის პრეზენტაცია
- 17.00–17.30** დღის შედეგების შეჯამება

თემა: ჯანდაცვის მენეჯმენტი

მიზანი: პროგრამის ფარგლებში მომზადებულმა კადრებმა შესძლონ თავიანთ სამუშაო ადგილებზე ჩამოაყალიბონ პირველადი ჯანდაცვის ეფექტურად ფუნქციონირებადი გუნდები.

ამოცანები:

- კარგად უნდა განისაზღვროს თუ როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები თავიანთ პრაქტიკაში, როგორ განავითარონ გუნდური მუშაობის პრინციპები და ქცევა, უკეთ გაიგონ ერთმანეთის როლი;
- პერსონალური და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა;
- წვლილი შეიტანონ ახალი ორგანიზაციული კულტურისა და ურთიერთობების ახალი ტიპების ჩამოყალიბებაში, ნათლად იყოს განსაზღვრული გუნდის წევრების როლი; თითოეულ პროფესიონალს გააჩნდეს თავისი ძლიერი დღის წესრიგი, რაც ადატურებს იმას, რომ მისი მარტივად ჩანაცვლება არ შეიძლება სხვა პროფესიონალით, თუ არ იქნება გათვალისწინებული რა ზეგავლენას მოახდენს ასეთი ცვლილება მთლიანად გუნდზე და როგორ აისახება იგი გამოსავლებზე

პროგრამის განხორციელების გეგმა

დრო	მოდული თემის დასახელება	განსახილველი საკითხები	სასწავლო მეთოდოლოგია
		პირველი სასწავლო დღე	
14.15-14.30		სასწავლო გეგმის გაცნობა	
14.30-15.45	შრომითი რესურსების მართვა	შრომითი რესურსების მართვა – ბაზისური ასპექტები მოტივაცია საჭიროებების გათვითცნობიერება	პრეზენტაცია
15.45-16.00		შესვენება	
16.00-17.30		- ადამიანური რესურსების მოთხოვნის შეფასება და მათი განვითარებისათვის პერსპექტიული გეგმების შედგენა - შერჩევა - კადრების დაქირავება	პრეზენტაცია
		მეორე სასწავლო დღე	
14.15-15.45	გუნდური მუშაობა	გუნდური მუშაობა გუნდში ქცევის ტიპები	პრეზენტაცია
15.45-16.00		შესვენება	
16.00-17.30		გუნდის განვითარების სტადიები ჯგუფის დინამიკა; ჯგუფური სავარჯიშო: როგორ გადავრჩეთ უდაბნოში?	პრეზენტაცია მცირე ჯგუფებში მუშაობა
		მესამე სასწავლო დღე	
14.15-15.45	ლიდერობა	ლიდერობის ჩვევები დავალემაზე ორიენტირებული ქცევა ურთიერთობაზე ორიენტირებული ქცევა	პრეზენტაცია
15.45-16.00		შესვენება	
16.00-17.30		სიტუაციური ლიდერობის ბაზისური კონცეფცია დელეგირება	პრეზენტაცია

თემა: გულის იშემიური დაავადების პრევენცია პირველად ჯანდაცვაში

მეცადინეობის საერთო ხანგრძლივობა 4 საათი

- 14.00–14.30** პრეზენტაცია თემაზე: პჯდ გუნდის როლი გიდ-ის მართვაში
- 14.30–15.00** პჯდ გუნდის როლი გიდ-ის მართვაში
- 15.00–15.30** ექიმისა და ექთნის ფუნქციების განსაზღვრა გულის იშემიური დაავადების პრევენციის საქმეში
- 15.30–15.45** შესვენება
კონკრეტული პრაქტიკისთვის გიდ-ის პრევენციის ოქმის
- 15.45–17.00** (პროტოკოლის) შემუშავება და ჯგუფების მიერ შემუშავებული პროტოკოლის პრეზენტაცია
- 17.00–17.30** დღის შედეგების შეჯამება

თემა: ზოგად საექიმო პრაქტიკაში ხანდაზმულთა სამედიცინო მეთვალყურეობის ორგანიზება (4 საათი)

საკვანძო საკითხი: პჯდ გუნდის როლი ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურების საქმეში მაგალითი:

- (1) ხანდაზმულებში ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასების პროტოკოლი
- (2) ზოგად საექიმო პრაქტიკაში კონფუზიის ადეკვატური მართვის უზრუნველყოფის პროტოკოლი

თემა: ონკოინკურაბელური ტერმინალური პაციენტების პალიატიური მოვლის პრაქტიკული განხორციელების გზები (4საათი)

პროტოკოლები:

- ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის სამედიცინო საჭიროებების შეფასება
- ონკოლოგიური ტერმინალური პაციენტის ბინაზე მოვლა
- ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში ტკივილის კონტროლი
- ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში ფსიქიკური პრობლემების მართვა
- ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში ფსიქოლოგიური კონსულტირება
- ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში გავრცელებული გასტროინტესტინური სიმპტომების მართვა
- ონკოლოგიურ ტერმინალურ პაციენტებში გავრცელებული რესპირატორული სიმპტომების მართვა
- ონკოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობების მართვა
- ტერმინალური პაციენტების ოჯახებისთვის სპეციფიკური კლინიკების ჩამოყალიბება

თემა: შაქრიანი დიაბეტის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში (4საათი)

- 13.15–17.30:** შაქრიანი დიაბეტის მართვის ძირითადი ასპექტები
ექიმისა და ექთნის ფუნქციები
პაციენტის განათლება